საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1550 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

„2010 წლის 28 დეკემბრის „საქართველოს და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო – ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი)“ N2 ცვლილების“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძის, ლ. ხუციშვილისა და ი. ხმალაძის დანიშვნის შესახებ

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „2010 წლის 28 დეკემბრის „საქართველოს და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო – ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი)“ N2 ცვლილება“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში

აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები **გიორგი კაკაურიძე** და **ლაშა ხუციშვილი** და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე **ირაკლი ხმალაძე.**

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**